პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 16 დეკემბერი, 1941 წ. № 297 (6302). ფასი 15 კაპ.

ამხ. ფ. მახარაძის დაკრძალვა. სამგლოვიარო მიტინგი ქართველ მოღვაწეთა პანთეონში დავითის მთაზე.
მარცხნივ: ტრიბუნაზე ამხანაგები (მარჯვნიდან მარცხნივ) გ. სტურუა (ამბობს სიტყვას), ი. თევზაძე, ვ. ეგნატაშვილი, ს. საკიანი, ი. მოსაშვილი. მარჯვნივ: ამხანაგები ქ. ჩარკვიანი, ი. კოჩლამაზაშვილი, ა. რაფავა, ა. საჯაია, ვ. ბაქრაძე, მ. ჯაში და ხ. იმნაძე კუბოსთან.
ფოტო ვლ. გინზბურგისა.

კიდევ უფრო ძლიერ დავეხმაროთ მშობლიურ წითელ არმიას!

მთელ ჩვენს ქვეყანას ელვისებური სისწრაფით მოედო სასიხარულო ცნობა... გამსჭვალული მიტინგებზე წარმოთქმული ყველა სიტყვა და მშრომელთა...

[illegible]

...განადგურებას მოვახმაროთ! თითოეული ჩვენგანი კიდევ უფრო უკეთესად უნდა მუშაობდეს!

თითოეული კიდევ უფრო უკეთესად, უფრო ნაყოფიერად, უფრო მონდომებით უნდა მუშაობდეს! ამ აზრით არის...

...დაე გერმანელთა განადგურება მოსკოვის მისადგომებთან ჰიტლერის მთელი ბანდიტური არმიის განადგურების დასაწყისი გახდეს!

„პრავდის" მოწინავე, 14/XII.

ამხ. ფილიპე მახარაძის დაკრძალვა

14 დეკემბერს ადრე დილიდანვე საქართველოს დედაქალაქის ათასობით მშრომელებმა მიაშურეს წითელი არმიის სახლს, სადაც დასვენებული იყო ფილიპე ესეს-ძე მახარაძის კუბო, რათა საბოლოოდ გამოეთხოვებოდნენ ბოლშევიკური პარტიის ამ უძველესი მოღვაწის, საბჭოთა სახელმწიფოს ერთერთი გამოჩენილი მშენებლის ნეშტს. როგორც წინადღით, ამ დღესაც განსვე-... [illegible]

...კომიტეტის და საქართველოს სსრ მთავრობის წევრები.

შესწყდა სამგლოვიარო მუსიკის ხმა. განსვენებულის პატივსაცემად საბჭოთა ქვეყნის გამოჩენილმა მუსიკოსებმა პროფ. ა. გოლდენვეიზერმა და კ. იგუმნოვმა, მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორმა ე. გუზიკოვმა და რსფსრ დამსახურებულმა არტისტმა სიბორმა შეასრულეს სოლოები შოპენის გენდელის და... [illegible]

...ბამდე ამხანაგ მახარაძის პარტიულ-პოლიტიკური მოღვაწეობა ხასიათდება უმთავრესად მისი მუშაობით ბოლშევიკურ იატაკქვეშეთში, ცარიზმის სუსხიან პირობებში და შემდეგ მენშევიკების ბატონობის წლებში.

ამ პერიოდში ამხანაგი მახარაძე განიცდიდა რეპრესიებს და დევნას როგორც მეფის, ისე მენშევიკების ჯალათების მხრივ.

საქართველოსა და ამიერ-კავკასიის... [illegible]

...რძოლი, ქართველი ხალხის საყვარელი შვილი ამხანაგი **ლავრენტი პავლეს-ძე ბერია.**

მრავალი წლის რევოლუციური მუშაობისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის ამხ. მახარაძე სავსებით დამსახურებულად სარგებლობდა მშრომელთა ფართო მასების სიყვარულითა და პატივისცემით. ჩვენი პარტიის, მთელი ჩვენი ხალხის წარმატებები... [illegible]

ამხ. ი. თევზაძის სიტყვა

[illegible]

ამხ. გ. სტურუას სიტყვა

[illegible]

ამხ. ს. საკიანის სიტყვა

[illegible]

ამხ. ვ. ეგნატაშვილის სიტყვა

[illegible]

ამხ. ვ. ბაქრაძის სიტყვა

[illegible]

ამხ. ი. მოსაშვილის სიტყვა

[illegible]

ამხ. ფ. მახარაძის დაკრძალვა. სურათზე: ამხანაგებს ქ. ჩარკვიანს, ვ. ბაქრაძეს, ხ. იმნაძეს და სხვებს გამოაქვთ კუბო წითელი არმიის სახლიდან.

სამგლოვიარო პროცესია კიროვის ქუჩაზე.

გენერალ ვლ. სიკორსკის დეპეშა ი. ბ. სტალინისადმი

მოსკოვი, ბატონ პრეზიდენტს სტალინს

ბატონმა მინისტრმა ვიშინსკიმ მაცნობა ახალი წარმატებანი, რომლებიც გმირმა წითელმა არმიამ მოიპოვა მტრის შემოტევის უმთავრესი მიმართულებებით.

გილოცავთ თქვენ, ამ არმიის ბელადს, შემქმნელს, რომ ალტაცებული ვარ მისი მოქმედებით საერთო საქმისათვის, ხალხთა განთავისუფლების საქმისათვის ბრძოლაში. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სამხრეთში და მოსკოვთან ახლანდელი გამარჯვებანი უახლოეს მომავალში მტკიცე და საბოლოო გამარჯვების წინამორბედნი არიან.

სიკორსკი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

14 დეკემბრის დილის ცნობა

13 დეკემბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტერთან ყველა ფრონტზე.

* * *

ამხ. კუზნეცოვის მებრძოლებმა, რომლებიც დასავლეთის ფრონტის ერთერთ უბანზე მოქმედებენ, ერთი დღის ბრძოლის დროს ხელთ იგდეს 24 ტანკი, 9 ჯავშნიანი მანქანა, 16 ქვემეხი, 7 ნაღმსატყორცნი, 186 ავტომანქანა, 64 მოტოციკლი და დიდძალი სამხარი მასალა.

* * *

ჩვენმა მფრინავებმა, რომლებიც სამხრეთის ფრონტზე მოქმედებენ, ერთი დღის საბრძოლო მოქმედების დროს ჩამოაგდეს მტრის 6 თვითმფრინავი, მოსპეს გერმანელთა 7 ტანკი, 200-ზე მეტი ავტომანქანა, 11 ქვემეხი მოსამსახურე პერსონალითურთ, 5 ავტოცისტერნი საწვავი, საომარი მასალით დატვირთული 70-ზე მეტი საზიდარი და გაჟლიტეს მტრის 1.000-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ჩვენი ჯარის ნაწილმა, რომელიც ლენინგრადის ფრონტის ერთერთ უბანზე მოქმედებს, განდევნა გერმანელები დასახლებულ პუნქტ კ-დან, მოსპო 400 გერმანელი, 5 მძიმე ქვემეხი და ხელთ იგდო 2 ქვემეხი, 3 ნაღმსატყორცნი, 3 ტყვიამფრქვევი და ...

... ლითა და სურსათით იყო დატვირთული. მთელ რიგ ადგილებში რაზმმა დანაღმა გზები და დასწყვიტა ტელეფონის მავთულები.

* * *

ომის დღეებში დიდი აღფრთოვანებით მუშაობენ დაღისტნის ასს რესპუბლიკის მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია. მექანიკურ ქარხანაში, სადაც დირექტორად ამხ. გოკონაევი მუშაობს, სწრაფად იზრდება რიგები სტახანოველებისა, რომლებიც თავის ნორმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ. მესანდალოზე ვლასოვა, რომელმაც ივლისში დაიწყო მოწაფედ მუშაობა ამ ქარხანაში, ახლა ექვსი მუშის მაგივრად მუშაობს. ამხ. ქიტკოვა 4 საღარავ დაზგაზე მუშაობს და თვითეულ მათგანზე 3 ნორმამდე იძლევა. საფეიქრო ფაბრიკამ, სლეპნევის სახელობის ქარხანამ, თევზის ტრესტმა და რესპუბლიკის ათობით სხვა საწარმოებმა შეასრულეს წლიური გეგმა. საკონსერვო ქარხანამ, სადაც დირექტორად ამხ. იაკოვლევი მუშაობს, უკვე შეასრულა წლინახევრის გეგმა. რესპუბლიკის ბევრმა კოლმეურნეობამ წარმატებით დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო წელი. დოქუზპარინის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობამ ვადამდე დაამთავრა ...

... ბრძოლაში სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე ხელთ იგდეს 19 ქვემეხი, 10 ტყვიამფრქვევი, 23 ავტომანქანა და მოსპეს 800-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

10 წითელარმიელმა უმცროს პოლიტხელის ამხ. პოლიანსკის ხელმძღვანელობით ერთ ბრძოლაში მოსპო 75 ფაშისტი, თვითონ კი 3 კაცი დაეჭრათ.

* * *

წარმატებით მოქმედებენ ტულის ოლქის პარტიზანები. პარტიზანული რაზმის — „სიკვდილი ფაშიზმს" — მებრძოლებმა ცეცხლი წაუკიდეს ფარდულს, სადაც გერმანელთა სამხარი მასალები ინახებოდა. ყუმბარების აფეთქებამ რამდენიმე ათეული ფაშისტი მოსპო. სოფელ ს-სთან პარტიზანების ჯგუფი ჩასაფრდა. მალე სასოფლო გზაზე გამოჩნდა გერმანელთა ავტომანქანა პოლკის ნაღმსატყორცნით. პარტიზანებმა გრანატები და ცეცხლგამჩენი ბოთლები დაუშინეს სატვირთო მანქანას და მოსპეს 7 გერმანელი ჯარისკაცი, რომლებიც ნაღმსატყორცნის ჯგუფულში შედიოდნენ. პარტიზანთა მეორე ჯგუფმა რამდენიმე ადგილას გადასჭრა მნიშვნელოვანი სატელეფონო კაბელი და დაარღვია კავშირი გერმანელთა კორპუსის შტაბსა და ქვეგანაყოფებს შორის. ...

... წასვლისას მტარვალებმა ყველა ტყვე დახვრიტეს. ფაშისტებმა სამ მებრძოლს თვალები დასთხარეს, წვივები გადაუმტვრიეს, ლოყებზე ვარსკვლავები ამოუჭრეს და ყელი გაუგმირეს ხიშტით. სოფელ პუჩკში მიდიოდა კოლმეურნე ივანე გაბრიელის-ძე ტერეხინი და მისი ცოლი პოლინა ბორისის-ასული. რამდენიმე გერმანელი ჯარისკაცი მივარდა პოლინას, რომელიც ქმრის თვალწინ რიგრიგად გააუპატიურეს და მოჰკლეს. დახვრიტეს აგრეთვე კოლმეურნე ტერეხინი, რომელმაც სცადა თავისი ცოლი დაეცვა. გერმანელმა დამპყრობლებმა გაძარცვეს მოსახლეობა, წაართვეს ყველაფერი, რაც კი თვალში მოხვდათ. ასე, მაგალითად, ჰიტლერელმა ყაჩაღებმა სოფელ ნიკოლსკოეში მოქალაქე აგრაფინა სერგის-ასულს სერგეევას წაართვეს ლეიბი, სამოვარი, ჩაიდანი, ჩაის ჭურჭელი, ერთი ბოყვი პურის ფქვილი, ასანთი, შაქარი, ქალის ჟაკეტი, ნაჯახი, ხერხი, ბავშვის სათამაშოები და რძის საწური ბადეც კი.

* * *

მილიონობით საბჭოთა ქალები ენტუზიაზმით შრომობენ ქარხნებში, ფაბრიკებში, შახტებში და რკინიგზებზე და ეხმარებიან წითელ არმიას გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა გაჟლეტაში. ჩერემხოვის ქვანახშირის აუზის კიროვის სახელობის შახტის საუკეთესო მნგრეველმა ქალებმა ...

14 დეკემბრის საღამოს ცნობა

[illegible]

15 დეკემბრის საღამოს ცნობა

[illegible]

15 დეკემბრის დილის ცნობა

[illegible]

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობამ დიდი შრომითი ენტუზიაზმი გამოიწვია

გუშინ თბილისის ქარხნებსა, ფაბრიკებსა და დაწესებულებებში დიდი ენტუზიაზმით ჩატარდა მშრომელთა მიტინგები, მიძღვნილი მოსკოვის მისადგომებთან გერმანიის ჯარების დამარცხებისა და წითელი არმიის გამარჯვებების შესახებ, რაც ქვეყანას აუწყა საბჭოთა საინფორმაციო ბიურომ.

უდიდესი კმაყოფილებით შეხვდნენ ამ ცნობას საქართველოს მუშები, კოლმეურნეები, მოსამსახურეები, ინტელიგენცია. ისინი გულმხურვალედ მიესალმებიან მოსკოვის გმირ დამცველებს და თავის მგზნებარე სიტყვებში გამოსთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ დიდი სტალინის წინამძღოლობით უზრუნველყოფილი იქნება გამარჯვება ყველა ფრონტზე, რომ ყველა გერმანელი ოკუპანტი გაჟლეტილი იქნება.

ორატორები ამასთანავე აღნიშნავდნენ, რომ მოსკოვის მისადგომებზე, როსტოვთან, ტიხვინთან, ელეცთან მოპოვებული გამარჯვებების განმტკიცებისათვის საჭიროა ყველამ კიდევ მეტი თავდადებით ვიმუშაოთ, კიდევ მეტი დახმარება გავუწიოთ მშობლიურ წითელ არმიას, მივაწოდოთ მას ყოველივე, რაც დასჭირდება მტრის გასანადგურებლად. ქარხნებსა და ფაბრიკებში დიდი შრომითი ენტუზიაზმია. მიტინგებზე თბილისის მშრომელებმა აიღეს ახალ-ახალი საწარმოო ვალდებულებანი.

მიტინგი თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში

გუშინ თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში შესდგა მუშა-მოსამსახურეთა მრავალრიცხოვანი მიტინგი, მიძღვნილი მოსკოვის მისადგომებთან წარმოებულ ბრძოლებში წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებისადმი.

მიტინგზე საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ამ სასიხარულო ცნობის ირგვლივ ილაპარაკა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორჯ. ორჯონიკიძის რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. იმედაშვილმა.

მოსამზადებელი საამქროს ქვეოსტატმა ამხ. ლილი ბაქრაძემ მიტინგს შემდეგი სიტყვებით მიმართა: მოსკოვის მისადგომებთან ჩვენი წითელი არმიის მიერ მოპოვებულმა ბრწყინვალე წარმატებებმა აღმაფრთოვანა და ენერგია გამიათკეცა. ამ სასიხარულო ცნობასთან დაკავშირებით ვკისრულობ წლიური გეგმა შევასრულო 21 დეკემბრისათვის.

ახალი ვალდებულებები აიღეს მრავალდაზგოსანმა ეკატერინე ტატულოვამ და უბნის ოსტატმა ალექსანდრე კახიანმა. სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე ფაბრიკის დირექტორი ამხ. შ. სიმონიშვილი და პარტბიუროს მდივანი ამხ. უ. ზაქარეიშვილი.

მიტინგმა ერთხმად მიიღო რეზოლუცია, სადაც აღნიშნულია, რომ აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის კოლექტივი კისრულობს დეკემბრის დავალება 130 პროცენტით შეასრულოს.

მუხანათი მტერი განადგურებული იქნება

გუშინ, მუშაობის დამთავრების შემდეგ, შესდგა მთავრობის სახლში მოთავსებულ დაწესებულებათა მუშაკების მიტინგი. საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარმა ამხ. გ. კიკნაძემ დამსწრეთ გააცნო საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობა მოსკოვის გარემოცვისა და აღების გერმანელთა გეგმის ჩაშლისა და წითელი არმიის გამარჯვების შესახებ.

— მოსკოვის გარშემორტყმისა და აღების ჰიტლერული გეგმა სამარცხვინოდ ჩაიშალა, — სთქვა ამხ. ჩხარტიშვილმა, — მოსკოვის მისადგომებთან დაიწყო ჰიტლერული ურდოების მოსპობა, მაგრამ მტრის საბოლოო განადგურებისათვის საჭიროა კიდევ უფრო თავდადებული ბრძოლა და გაასკეცებული შრომა.

— ჩვენი გმირული წითელი არმია გერმანელი ყაჩაღების რისხვად გადაიქცა, — ამბობს მარო ბურჭულაძე, — მოსკოვისა და როსტოვის მისადგომებთან წითელი არმიის მიერ მოპოვებული წარმატებანი მტერზე საბოლოო გამარჯვების დასაწყისია. გერმანელი ოკუპანტების საესებით განადგურებისათვის საჭიროა დაუღალავი მუშაობა ჩვენი გმირი წითელი მებრძოლების დასახმარებლად.

მიტინგზე ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში გამოთქმულია ღრმა რწმენა, რომ ვერაგი მტერი აღგვილი იქნება პირისაგან მიწისა. იგი სამარეს ჰპოვებს საბჭოთა მიწაზე.

სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

გუშინ, შესვენებისას, თბილისის მაუდკამვოლის ფაბრიკაში შემდგარ მიტინგზე მუშები, მუშა-ქალები და ინჟინერ-ტექნიკოსები აღფრთოვანებით უსმენდნენ ფაბრიკის მთავარ ინჟინერს ამხ. ს. იაკობაშვილს, რომელმაც მათ გააცნო საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობა მოსკოვის მისადგომებზე გერმანიის ჯარების დამარცხების შესახებ.

მოსკოვის გარემოცვისა და აღების ჰიტლერული გეგმის ჩაშლის შესახებ ცნობებით აღფრთოვანებულნი მქსოველი ნ. ებერმანი, ოსტატი ი. ჯღორჯაძე, ეკონომისტი ა. თოფურია, ტექნიკური კონტროლიორი გ. კესარელი, რემონტის ოსტატი ს. მატინოვი და მეაპრეტურე ბ. ონიანი მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ და თავიანთ ამხანაგებს მოუწოდეს — კიდევ უფრო აამაღლონ შრომის ნაყოფიერება, მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია მიაწოდონ მშობლიურ წითელ არმიას, რათა ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მტრის განადგურების სტალინური გეგმის განხორციელებას.

მიტინგზე ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ ფაბრიკის კოლექტივი წლის დასასრულამდე ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცემს 700 ათასი მანეთის პროდუქციას და ყოველმხრივ მოემზადება ახალი სამეურნეო წლისათვის.

რეზოლუციის ბოლო სიტყვები — დიდება და სახელი მოსკოვის მამაც დამცველებს! სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს! — მქუხარე ტაშმა დაჰფარა.

დარბაზობა პოლონელთა არმიის შტაბში პოლონეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისა და შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი მთავარსარდლის, გენერალ სიკორსკის პატივსაცემად

ამ დღეებში სსრ კავშირში არსებუ- ... დარბაზში გაისმის გენერალ სიკორსკის ...

[illegible]

ჰიტლერის მორიგი სიცრუე

[illegible]

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო.

ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲔᲑᲖᲔ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲓᲐᲕᲚᲘ ᲔᲚᲔᲪᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს 11 დეკემბრის ცნობაში გამოქვეყნებული იყო წინასწარი მონაცემები იმ ნადავლის შესახებ, რაც ხელთ იგდეს გენერალ კოსტენკოს ჯარებმა ქალაქ ელეცის რაიონში გამართული ბრძოლების დროს. ამჟამად მიღებულია უფრო სრული ცნობები ნადავლის შესახებ. გენერალ კოსტენკოს ჯარებმა გერმანელებს წაართვეს: 226 ქვემეხი, 312 ტყვიამფრქვევი, 165 ავტომატი, 1.240 შაშხანა, 907 ავტომანქანა, 1.055 საზიდარი, 1.260 ცხენი, 30 ათასი ყუმბარა, 5 ათასი ნაღმი, 500 ათასი ვაზნა.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲑᲘᲣᲠᲝ.

ᲔᲠᲗᲘ ᲢᲐᲜᲙᲘ ᲗᲕᲠᲐᲛᲔᲢᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲘ, 13 დეკემბერი (საკუთარი სპეც. კორესპონდენტისაგან). ჩვენი ფრონტის ერთ-ერთ უბანზე ლეიტენანტ გუძის მძიმე ტანკი შეტევაზე გადასული ქვეითი ჯარისათვის დახმარების გასაწევად მიიჩქაროდა. სოფლის მახლობლად მძლავრი საბჭოთა მანქანა ფაშისტთა 18 ტანკს შეხვდა.

[illegible]

ეკიპაჟში ერთსულოვანი საბრძოლო გამოხმაურება ჰპოვა. ქვემეხის მეთაური ტატარჩუკი, არტილერისტი სტარიხი, მექანიკოსი კატინი, რადისტი საბლინი—ყველანი მოუთმენლად მიდიოდნენ მტრის შესახვედრად.

გაიმართა თვრამეტის წინააღმდეგ ერთი ტანკის ცხარე ბრძოლა. საბჭოთა ტანკს ზედიზედ მეთოდურად გამოჰყავდა მწყობრიდან მტრის ტანკები. მალე ბრძოლის ველზე გერმანელთა უკვე 10 დამწვარი და დაზიანებული მანქანა ეყარა. დანარჩენმა 8 მანქანამ გაქცევით უშველა თავს. როდესაც ტანკებს ბოლო მოუღო, გმირი საბჭოთა ეკიპაჟი მტრის თავდაცვის მოწინავე ხაზისაკენ გაემართა, სადაც სროლა და სროლით სპობდა ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხებს. სულ მან 4 ბატარეა მოსპო.

[illegible]

ტევას ვერ გაუძლეს და გაიქცნენ. მათ ჩვენი ტანკი დაედევნა. გზაში მან მუხლუხებით გასრისა და ტყვიამფრქვევით დახვრიტა 400-მდე ჰიტლერელი.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა მძიმე ტანკი ამ ბრძოლის დროს მტრის ყუმბარებისაგან 29 ადგილას შეიზნიქა, ტანკისტებმა იერიშის დამთავრებამდე ბრწყინვალე დახმარება გაუწიეს ქვეით ჯარს, რითაც უზრუნველჰყვეს საერთო წარმატება.

ᲛᲢᲠᲘᲡ ᲣᲙᲐᲜᲓᲐᲮᲔᲕᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

(ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ" ᲡᲐᲙ. ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘᲡᲐᲒᲐᲜ).

„პრავდის" სამხედრო კორესპონდენტის ცნობით, დასავლეთის ფრონტზე გენერალ ვლასოვის ჯარებმა დაიკავეს სოლნეჩნოგორსკი და მიიწევენ დასავლეთისაკენ, გააფთრებულ ბრძოლებს ეწევიან გერმანელთა არიერგარდებთან, რომელთა საფარ ქვეშ გერმანელები ცდილობენ გაუსხლტნენ შეტევაზე გადასულ საბჭოთა ჯარებს. მტერი სწვავს სოფლებს, ჰფენს საფრებს, ნაღმავს გზებს, რაც მოითხოვს ჩვენი მებრძოლებისაგან დიდ სიმტკიცეს, ძალღონის დაძაბვასა და სიმამაცეს.

„კრასნაია ზვეზდას" სამხედრო კორესპონდენტის ცნობით, ჩვენი ჯარები ურტყამენ მტერს ისტრის დასავლეთით და სწრაფი შეტევით საშუალებას არ აძლევენ გერმანელებს გამაგრდნენ ახალ ზღუდეებზე.

ფრონტის სამხრეთ სექტორში ჩვენი ჯარები განაგრძობენ დასახლებული პუნქტების განთავისუფლებას ოკუპანტებისაგან. გენერლების ბოლდინისა და ბელოვის ჯარებმა ხელთ იგდეს დიდძალი დავლა.

როგორც „პრავდის" სამხედრო კორესპონდენტი ტულიდან ტელეგრაფით იტყობინება, ბოლდინის ნაწილები განაგრძობენ წარმატებით შეტევას ტულის სამხრეთ-დასავლეთით. მტერი სტოვებს ტანკებს, ავტომანქანებს, ქვემეხებს, სხვა საჭურველს და უკან იხევს; ზოგჯერ ეს უკანდახევა გაქცევის სახეს იღებს.

მოსკოვთან გერმანელთა ჯარების განადგურებაში დიდი როლი ითამაშა ავიაციამ. გაზეთ „სტალინსკი სოკოლში", რომელსაც თავდაცვის სახალხო კომისარიატი უშვებს, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი პეტროვი დაწვრილებით მოგვითხრობს იმ დახმარებაზე, რომელსაც უწევს ჩვენი ავიაცია სახმელეთო ჯარებს, იმ მჭიდრო თანამოქმედებაზე, რომელიც იქამდე აღწევდა, რომ ავიაცია ჰაერიდან სროლით უშუალოდ უწყობდა ხელს სახმელეთო ნაწილებს, ხოლო არტილერიის ცეცხლი სავსებით შეხამებული იყო თვითმფრინავების ცეცხლთან ერთი და იმავე მიზნის წინააღმდეგ. გენერალ პეტროვის ჯგუფში განსაკუთრებით ისახელეს თავი პოდპოლკოვნიკ ბურდინის ნაწილებმა, მაიორ დაჩენკოს მოიერიშე მფრინავებმა და ლოქტევის მფრინავ-გამანადგურებლებმა.

გერმანელების დევნა გრძელდება. „ჩვენი ჯარები,—სწერს პეტროვი, — სწრაფად მიიწევენ წინ. ჩვენ დიდი სიხარულით მივეცით ჩვენს ავიანაწილებს ბრძანება—გადაიტანონ ბაზები წინ, რათა უფრო ახლოს იყვნენ მტერთან".

Გ. ᲣᲐᲠᲐ-ᲛᲨᲠᲖᲐ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲯᲐᲠᲔᲑᲘ ᲬᲘᲜ ᲛᲘᲘᲬᲔᲕᲔᲜ

ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობენ დასავლეთის ფრონტზე. მტერი ბრაზმორეული იგრიგება. ცალკე უბნებზე იგი კონტრშეტევაზე გადმოდის, მაგრამ ჩვენი ჯარები, სძლევენ რა გერმანელთა წინააღმდეგობას, წინ მიიწევენ.

13 დეკემბრის განმავლობაში ფრონტის ჯარებმა გერმანელებისაგან გაათავისუფლეს 57 დასახლებული პუნქტი და ხელთ იგდეს 30 ქვემეხი, 68 ავტომანქანა, 20 ტყვიამფრქვევი, 15 ნაღმსატყორცნი.

წარმატებით ავიწროებენ მტერს ამხ. კუზნეცოვის ნაწილები. მათ მტერი განდევნეს რამდენიმე დასახლებული პუნქტიდან. როგორც უკვე ცნობილია, 11 დეკემბრის ბრძოლებში ამ ნაწილებმა ხელთ იგდეს 24 ტანკი, 9 ჯავშნიანი მანქანა, 54 მოტოციკლი, 184 სატვირთო ავტომანქანა, 16 ქვემეხი, 1000 ჭურვი, 800 გრანატი, 7 ნაღმსატყორცნი, 18 ათასი ვაზნა.

განსაკუთრებით ცხარე ბრძოლები გაიმართა მოჟაისკის მიმართულებით. გააფთრებული შეტევების შედეგად № ნაწილის მებრძოლებმა და მეთაურებმა, გასტეხეს რა მტრის წინააღმდეგობა, გაათავისუფლეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი და ხელთ იგდეს დიდი ნადავლი.

ბრძოლების თვითეული დღე ახალ გმირებს ბადებს, რომლებიც შეუბრალებლად ანადგურებენ გერმანელ ოკუპანტებს. ამხ. პოლიანსკიმ 10 წითელარმიელით ერთ ბრძოლაში გაბედული თავდასხმით 75 ფაშისტი გაანადგურა.

განსაკუთრებული სიმამაცე გამოიჩინა უმცროსმა ლეიტენანტმა ჩირინმა. მან თავის ასეულს იერიში მიატანინა გაცილებით უფრო მრავალრიცხოვან მტერზე. ამხ. ჩირინი ორჯერ დაიჭრა, მაგრამ მაინც განაგრძობდა ბრძოლის ხელმძღვანელობას. როდესაც ამხ. ჩირინმა ყველა ვაზნები დახარჯა, მან გერმანელს შაშხანა გამოსტაცა და კონდახით სამი ფაშისტი მოჰკლა. სანიტარული დახმარების აღმოჩენის შემდეგ მამაცი მეთაური კვლავ ბრძოლაში დაბრუნდა.

(მიღებულია რადიოთი საჰრადიოკომიტეტის მიერ).

ᲐᲛᲐᲡ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲕᲘᲕᲘᲬᲧᲔᲑᲗ!

[illegible]

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲡᲐᲐᲒᲘᲢᲐᲪᲘᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ახლა, როდესაც ჩვენი ქვეყნის მშრომელები ეწევიან სამამულო ომს ფაშისტთა ურდოების წინააღმდეგ პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკი აგიტატორების მოვალეობაა ზარდონ მასებში პოლიტიკური სიფხიზლე და თავდადებული შრომითი მაგალითებით დაეხმარონ ფრონტს მტერზე გამარჯვებაში. მრავალი ასეთი აგიტატორი თავდადებულად მუშაობს ჩვენს საწარმო-დაწესებულებებში, რკინიგზაზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში ფაცხოველებით მიმდინარეობს ამხანაგ სტალინის 6 ნოემბრის ისტორიული მოხსენების შესწავლა. ამხანაგ სტალინის მოხსენების ღრმად შესწავლაში განსაკუთრებით გამოირჩევიან აგიტატორები დ. კუპავა, ნ. ლოლაძე, მატიუხინი, სანთელაძე და სხვ.

აგიტატორები საუბრებს უკავშირებენ ადგილობრივ ფაქტებს, სტახანოველთა გამოცდილებას, [illegible]

სიფხიზლის გაძლიერებისაკენ მოუწოდებენ, რაზმავენ თავდაცვის განმტკიცებისათვის.

სააგიტაციო მუშაობა კარგად არის დაყენებული აგრეთვე ამავე რაიონის სოფ. მუხუთის და ზვანის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებში.

მაგრამ სააგიტაციო მუშაობის დარგში ჯერ კიდევ გვაქვს სერიოზული დეფექტები. პარტიის ყველა რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებამ როდი აღმოუჩინა სათანადო დახმარება ძირეულ პარტორგანიზაციებს სააგიტაციო მუშაობის ახლებურად დაყენების საქმეში.

წითელი წყაროს რაიონში სააგიტაციო მუშაობა სუსტად არის დაყენებული. პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელ მუშაკებს მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობის ეს დარგი დღემდე სამუშაოთა უკანასკნელ რიგში ჰქონდათ მოქცეული. აქ ხალხის შესაკრებ ადგილებზე არ არის გამოკრული ლოზუნგები და პლაკატები, არ ტარდება აგიტკოლექ-[illegible]

[illegible]

მაციო ბიუროს ცნობებსა და ცალკეულ სტატიებს სამამულო ომის შესახებ. აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი ამხ. ტოტოჩავა სისტემატურად ატარებს თათბირებს, აწყობს კონსულტაციებს და განაზოგადებს მოწინავე აგიტატორთა გამოცდილებას.

აგიტატორებმა ფართოდ გაშალეს მუშაობა კოლმეურნეთა მიერ ამხანაგ სტალინის მოხსენებისა და სიტყვის ღრმად და საფუძვლიანად შესწავლისათვის. ისინი კოლმეურნეებს [illegible]

მუშაობის ფართოდ გაშლა და მაღალი ხარისხი შეიძლება უზრუნველვყოთ მხოლოდ იმ პირობით, თუ პარტიული ორგანიზაციები მუდმივსა და ქმედით ხელმძღვანელობას გაუწევენ ამ დიდმნიშვნელოვან, უაღრესად პასუხსაგებ საქმეს.

Შ. ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲐᲫᲔ

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პროპაგანდისა და აგიტაციის განყ. სააგიტაციო სექტორის გამგე.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲔᲑᲘ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ

ამ დღეებში ჩატარდა ბათუმის პარტიული აქტივის საქალაქო კრება. აქტივის კრებამ საპატიო პრეზიდიუმში დიდი აღფრთოვანებით აირჩია საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ამხანაგ სტალინის მეთაურობით, აგრეთვე ამხ. ჩარკვიანი და ბაქრაძე.

აქტივმა მოისმინა და განიხილა საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივნის ამხ. თვალჭრელიძის მოხსენება 1941 წლის 6 [illegible]

ჩვენებლებს აღწევენ. ცუდი მუშაობისათვის მკაცრად გააკრიტიკეს აჭარის სარეწაო კოოპერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარე შ. ანდღულაძე, ბათუმის სამკერვალო ფაბრიკის დირექტორი კ. ვარდანაშვილი და ბათუმის ნავსადგურის ხელმძღვანელები.

კამათში აგრეთვე აღინიშნა, რომ ზოგიერთმა პირველადმა პარტორგანიზაციებმა შეასუსტეს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა. ზოგან სუსტად მუშაობენ პარტიაში მოწინა-[illegible]

ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ

[illegible]

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ

[illegible]

ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲙᲣᲚᲐᲠᲘᲖᲛᲘ?

[illegible]

სიტყვაა და ნიშნავს მისწრაფებას განკერძოებისაკენ. პოლიტიკაში იგი მოასწავებს მისწრაფებას სახელმწიფოს ადმინისტრატიულ-ტერიტორიული ნაწილების ან ოლქების განკერძოებისაკენ თვით სახელმწიფოს შიგნით, იმ მიზნით, რომ შეინარჩუნონ ადგილობრივი თავისებურებანი და ავტონომიური უფლებები. მაგრამ ეს განკერძოებულობა, მისწრაფება დამოუკიდებლობისადმი არ ნიშნავს სრულ ჩამოშორებას სახელმწიფოსაგან. პარტიკულარიზმი იმით განსხვავდება სეპარატიზმისაგან, რომ ეს უკანასკნელი ნაციონალური უმცირესობის მისწრაფებაა მიღწეულ იქნას სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობა და სრული ჩამოშორება. სეპარატიული მოძრაობა პირველი იმპერიალისტური ომის შემდეგ თვალსაჩინოდ განვითარდა აღმოსავლეთ გალიციაში, მაკედონიაში, ხორვატიაში, კატალონიაში და სხვ. პარტიკულარიზმის ფესვები მომდინარეობენ ფეოდალიზმის ეპოქიდან. მაშინ მას [illegible]

გლეხებისა და ინტელიგენციის ფართო მასები. სოციალისტური სახელმწიფოს კონსტიტუცია, როგორც ამხანაგმა სტალინმა სთქვა, „...წარმოადგენს მსოფლიოში ერთადერთ ბოლომდე დემოკრატიულ კონსტიტუციას".

გასაგებია, რომ პარტიკულარიზმისათვის საბჭოთა კავშირში არავითარი საფუძველი არ არის და, ბუნებრივია, არც შეიძლება იყოს. სტალინური კონსტიტუციის პირველი, მეორე და მესამე მუხლი ამბობს, რომ საბჭოთა კავშირი მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოა, რომლის „პოლიტიკურ საფუძველს შეადგენენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოები, აღმოცენებულნი და განმტკიცებულნი მემამულეთა და კაპიტალისტთა ძალაუფლების დამხობისა და პროლეტარიატის დიქტატურის მოპოვების შედეგად". ჩვენს ქვეყანაში მთელი ძალაუფლება ეკუთვნით „ქალაქისა და სოფლის მშრომელებს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სახით".

ᲠᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲔᲢᲚᲛᲔᲜᲢᲘ?

ცნობაში—„იაპონიამ ომი გამოუცხადა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს", რომელიც 8 დეკემბერს გამოქვეყნდა, [illegible]

ბას". ამ სიტყვით აღნიშნავენ იმ ადგილს, რომელიც ევროპელ მოსახლეობას უკავია [illegible]

ᲑᲔᲚᲐᲓᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ოპერის თეატრი, 1941 წ. 6 ნოემბრის ღამე.

ახწიეს ფარდა რბილი და ფართო,
არსაიდან ხმა, არავინ არ ჩანს.
მინელდა შუქიც, სცენაზე მარტო
დიდი ბელადის ნათელი დარჩა.

არსაიდან ხმა, ლოდინმა ერთმა
შეჰკრა თაღები ცასავით სუფთა,
თითქოს დარბაზში ათასმა მკერდმა
ერთად შესწყვიტა ღელვა და სუნთქვა.

და მერე, როგორც მადლიან ვენახს
ესხურობს თბილი მაისის წვიმა,
მინაბულ ხალხის გულსა და სმენას
ბელადის სიტყვა გაება სიმად.

გადმოელახა ქვეყანა ვრცელი,
მისი ტკბილი ხმა მახლობლად ჟღერდა
და თითო სიტყვას უკვდავი ბრძენი
თვითეულ გულის ფიცარზე სწერდა.

სამშობლო ვიხსნათ, მოსკოვი ვიხსნათ
ჩვენი კერა და დიდება ჩვენი!
როგორც საქვეყნო ფიცსა და რისხვას
იმეორებდნენ დარბაზის ბჭენი.

ვხედავდი — გულმა დაავდო ბინა,
კაცი ფოლადის ნატეხად ვიქეც...
თბილისის მთებმაც ჩაიცვეს რკინა
და შეუერთდნენ მოსკოვის ციხეს.

საომრად რეკდა სამშობლოს ზარი,
ესმოდა მღვიძარ ქვასა და ბალახს...
და ებმებოდა ფოლადის კარი
იქ კრემლს,

აქ—ქართლის ჭალარა ქალაქს.

ᲘᲚᲝ ᲛᲝᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ ᲙᲐᲢᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲢᲐᲜᲙᲝ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲨᲘ

[illegible]

ᲙᲐᲠᲒᲘ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐ

[illegible]

Უ. ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ

[illegible]

ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲤᲝᲜᲓᲘ

[illegible]

1938 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲝᲛᲒᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲡᲔᲡᲮᲘᲡ ᲢᲘᲠᲐᲟᲘ

[illegible]

უცხოეთის პრესა აღმოსავლეთის ფრონტზე გერმანელთა დამარცხების შესახებ

ლონდონი, 14 დეკემბერი (საკდესი). ინგლისური პრესა ფართოდ აშუქებს საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობას მოსკოვისათვის ბრძოლაში საბჭოთა ჯარების წარმატების შესახებ.

გაზეთი „სარი" მოწინავე სტატიაში აცხადებს, რომ „რუსეთის გამარჯვება სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება", და რომ, თუ გერმანელები ამგვარ დარტყმას იგემებენ „ლენინგრადიდან დონეცამდე", მაშინ „ჰიტლერი საშინელი კატასტროფის წინაშე აღმოჩნდება".

ჰარვინი გაზეთ „ობსერვერში" სწერს: გმირული ბრძოლისა და უდიდესი მსხვერპლის მეოხებით, სტალინური ხელმძღვანელობის მაორგანიზებელი გენიოსობის მეოხებით, საბჭოთა კავშირში შეჭრილი დამპყრობლები იძულებული არიან აღიარონ თავიანთი დამარცხება და ის, რომ ძირითადი მიზნები მიღწეული არ არის ექვსი თვის კამპანიის განმავლობაში. მოსკოვი განთავისუფლებულია, ლენინგრადი წინააღმდეგობას უწევს მტერს. ჩვენი მოკავშირეები განუწყვეტლივ მიიწევენ წინ ბევრ პუნქტში. რუსებმა დაიბრუნეს ჰაერში ბატონობა.

რუსეთში, ნათქვამია „სანდი ტაიმსის" მოწინავე სტატიაში, ბრძოლის მსვლელობა შავბნელი ძალების წინააღმდეგ შემობრუნდა, რომლებიც უკან დახევას განაგრძობენ და მაშინაც კი, როდესაც მათ მაგრად ურტყამენ, აცხადებენ, რომ ზამთრისათვის რუსეთში არავითარი სხვა სტრატეგიულ მიზნებს არ ვისახავდითო. სავსებით ნათელია, რომ მრისხანება მოზღვავდა. ჩერჩილმა თავის სიტყვაში თვალსაჩინო და დამაჯერებელი დახასიათება მოგვცა ჰიტლერის დიდი უხეში შეცდომისა და იმ შედეგისა, რომელიც მოაქვს ამ შეცდომას ჰიტლერის შეშფოთებული ურდოებისათვის. ამ შედეგებს გებელსის ვერავითარი ხრიკები ვერ დაუმალავს გერმანიის ზურგს და ჰიტლერის მაღალფარდოვან ლაყბობას კმაყოფილებით არ შეხვდებიან.

ნიუ-იორკი, 14 დეკემბერი (საკდესი). ამერიკის პრესამ ფართოდ გამოაქვეყნა საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობა მოსკოვის გარშემორტყმისა და აღების გერმანული გეგმის ჩაშლის შესახებ. გაზეთებმა „ნიუ-იორკ უორლდ ტელეგრამმა", „ნიუ-იორკ პოსტმა", „ნიუ-იორკ ჯორნალ ენდ ამერიკენმა", „სენმა" და სხვებმა ეს ცნობა მსხვილი სათაურებით მოათავსეს, რომლებიც ხაზგასმით აღნიშნავენ წითელი არმიის გამარჯვების უდიდეს მნიშვნელობას.

სწორედ ასევე ამერიკის პროვინციული პრესაც დიდ ყურადღებას უთმობს სსრ კავშირიდან მიღებულ ცნობებს საბჭოთა ჯარების წარმატების შესახებ. ყველა გაზეთი აღნიშნავს, რომ ჰიტლერის გეგმები სამარცხვინოდ ჩაიშალა.

გაზეთი „ნიუსი", რომელიც ვილმინგტონში (დელავარის შტატი) გამოდის, აცხადებს, რომ „რუსეთის ფრონტზე წარმოებული ბრძოლა კვლავ დიდ ყურადღებას იპყრობს, რამდენადაც მისმა შედეგმა სერიოზული გავლენა უნდა მოახდინოს ჩვენს ბრძოლაზედაც, ხოლო, შესაძლებელია, კიდეც გადასწყვიტოს ამ ბრძოლის ბედი".

გაზეთი „ნიუსი", რომელიც გრინველში (სამხრეთ კაროლინის შტატი) გამოდის, სწერს, რომ ახლა უკვე ყველასათვის ნათელია, თუ რა საშინლად დამარცხდნენ გერმანელები რუსეთის ფრონტზე. გაზეთი აცხადებს, რომ ჰიტლერს სავსებით ჩაეშალა რუსეთში კამპანიის ჩატარების გეგმა. გაზეთი უარყოფს ნაცისტების განცხადებას იმის შესახებ, რომ მათი უკან დახევა ვითომდა სასტიკი ზამთრით აიხსნება. სავსებით ნათელია,—დაასკვნის გაზეთი,—რომ წითელმა არმიამ საფუძვლიანად გაჰფანტა მითი გერმანიის არმიების უძლეველობის შესახებ.

ბოსტონის გაზეთმა „ჰერალდმა" მოათავსა მოწინავე სტატია შემდეგი სათაურით: „რუსეთი აღფრთოვანების წყაროა". 22 ივნისს, — სწერს გაზეთი,—რუსები ისეთსავე გრძნობებს განიცდიდნენ როგორიც ამერიკელებმა განიცადეს 7 დეკემბერს, როდესაც მათ ვერაგულად დაესხნენ თავს იაპონელები. მაგრამ ახლა, როგორც ეს მთელი მსოფლიოსათვის ცნობილია, რუსებმა დამპყრობთა შეტევა შეაჩერეს და თვითონ გადავიდნენ შეტევაზე, ამასთან აიძულეს მტერი გამქცეულიყო ფრონტის მთელი რიგი მნიშვნელოვანი უბნებიდან. გაზეთი მოუწოდებს ამერიკელებს ყოველგვარი დახმარება გაუწიონ საბჭოთა კავშირს.

თეირანი, 14 დეკემბერი (საკდესი). ირანის პრესა ფართო კომენტარს უკეთებს საბჭოთა ჯარის გამარჯვებას აღმოსავლეთის ფრონტზე. გაზეთმა „ჟურნალ დე ტეგერანმა" ცნობა გამოაქვეყნა მსხვილი სათაურით: „წითელი არმია ფრონტის ყველა უბანზე განაგრძობდა ტერიტორიის გაწმენდას გერმანიის ჯარისაგან და დაიკავა ტიხვინი". ამ ცნობაში გაზეთი წითელი არმიის წარმატებითი მოქმედების აღწერას იძლევა. როსტოვთან საბჭოთა ჯარების გამარჯვების მნიშვნელობის შესახებ მოთავსებულ დიდ სტატიაში გაზეთი „აიანდეე ირანი" სწერს, რომ როსტოვის აღებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ამან გზა გადაუღობა გერმანელებს კავკასიისაკენ. გაზეთი ანალიზს უკეთებს შექმნილ მდგომარეობას, და სწერს, რომ გერმანელებმა სსრ კავშირის სამხრეთ ნაწილში გაჰგზავნეს თავიანთი საუკეთესო მოტომექანიზებული ნაწილები, მაგრამ კავკასიაზე შეტევის გეგმა ჩაიფუშა. როსტოვთან წითელი არმიის გამარჯვების ამბავი მთელ ფრონტზე გავრცელდა და დიდი გავლენა იქონია გერმანელთა და მათ მოკავშირეთა სულიერ განწყობილებაზე. აღფრთოვანებულმა რუსეთის ჯარებმა მაშინვე დაიწყეს შეტევა სხვა მიმართულებებით. სტატიას დართული აქვს სამხრეთის ფრონტის დაწვრილებითი რუკა. თეირანის პრესამ ამხ. ტიმოშენკოს პორტრეტი მოათავსა.

სტოკჰოლმი, 14 დეკემბერი (საკდესი). სტოკჰოლმის ყველა გაზეთმა უაღრესად თვალსაჩინო ადგილზე გამოაქვეყნა საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობა მოსკოვზე გერმანიის შეტევის ჩაშლის შესახებ. გაზეთები მსხვილ სათაურებიან სტატიებში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მოსკოვთან გერმანელები სასტიკად დამარცხდნენ და მარტო მოკლულთა სახით 85 ათასი კაცი დაჰკარგეს. გაზეთი „ნიუა დაგლიგდტ ალეჰანდა" სწერს, რომ ჩაიშალა მოსკოვზე გერმანელთა გენერალური შეტევა, რაც ჰიტლერმა 2 ოქტომბერს გამოაცხადა.

„ნიუა დაგლიგდტ ალეჰანდის" და შვეციის სხვა გაზეთების ლონდონელი კორესპონდენტები იუწყებიან, რომ მოსკოვის მისადგომებთან წითელი არმიის გამარჯვების ამბავმა დიდი ენტუზიაზმი გამოიწვია ინგლისში. აქ,— იუწყებიან კორესპონდენტები, — აღნიშნავენ, რომ გერმანია მოსკოვთან სასტიკად დამარცხდა. სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენელმა განაცხადა: შეიძლება მივულოცოთ წითელ არმიას მოსკოვის მისადგომებთან მოპოვებული გამარჯვებაო.

მდგომარეობა ლიბიის ფრონტზე

ლონდონი, 11 დეკემბერი (საკდესი). ლონდონში ოფიციალურად გამოცხადდა, რომ მდგომარეობა ჩრდილო აფრიკაში კვლავ უმჯობესდება. ინგლისის ჯარების მიერ ელ-ედემის დაკავება იმას მოწმობს, რომ ტობრუკის გარნიზონთან ინგლისელთა ძალების ხელახალი შეერთება, რაც რამდენიმე დღის წინათ მოხდა, ახლა განმტკიცებულია. იმავე დროს ინგლისის მოტორიზებული ნაწილები განაგრძობენ მოწინააღმდეგის სამხრეთი ფლანგის შემოვლას და დასავლეთისაკენ მიიწევენ, ამასთან ემუქრებიან მის კომუნიკაციებს. ტობრუკის აღმოსავლეთით ინგლისის ჯარები უკვე აღარ აწყდებიან ორგანიზებულ წინააღმდეგობას, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სამ იზოლირებულ პუნქტს—ბარდიას, ჰალფაიასა და გირბს—ლიბია-ეგვიპტის საზღვარზე. ინგლისელებს იერიში არ მიაქვთ ამ პუნქტებზე, ვინაიდან არა სურთ ამაოდ დახარჯონ თავიანთი ძალები. გრძელდება მტრის წვრილ-წვრილი ჯგუფების მოსპობა საზღვარსა და ტობრუკს შუა.

ლონდონი, 12 დეკემბერი (საკდესი). ინგლისის ახლო აღმოსავლეთის შეიარაღებულ ძალთა სარდლობის კომუნიკეში ნათქვამია: „ავდრისა და ქვიშის ძლიერი ქარბუქის მიუხედავად, რაც უკვე ორი დღეა გრძელდება, ჩვენი შეტევა ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით განსაკუთრებული ენერგიით მიმდინარეობს ყველა უბანზე. ახალი ზელანდიის ჯარებმა, რომელნიც ტობრუკიდან მოქმედებენ, 11 დეკემბერს მიაღწიეს პუნქტს, რომელიც უშუალოდ ელ-ჰაზალის აღმოსავლეთით მდებარეობს.

ინგლისისა და ინდოეთის ჯარებმა, რომელნიც სამხრეთ აღმოსავლეთიდან უტევენ, ელ-ჰაზალის სამხრეთით მდებარე მაღლობებს მიაღწიეს, ამასთან ტყვედ ჩაიგდეს 500 გერმანელი და იტალიელი. ინგლის-ინდოეთის ჯარებმა ელ-ჰაზალის დასავლეთით წაიწიეს და ტყვედ ჩაიგდეს ახალი ჯგუფი 120 კაცის შემადგენლობით.

აკრომის რაიონი გაწმენდილია მოწინააღმდეგისაგან. 10 დეკემბერს მოწინააღმდეგის კოლონებზე იერიში მივიტანეთ ამ რაიონის დასავლეთით, ამასთან მოსპობილი თუ დაზიანებულია დიდძალი ავტომანქანა და ქვემეხი; ხელთ ვიგდეთ დიდი დავლა და 300 ტყვე.

საომარი მოქმედება ლიბიაში

ლონდონი, 13 დეკემბერი (საკდესი). ინგლისის ახლო აღმოსავლეთის შეიარაღებულ ძალთა სარდლობის დღევანდელ კომუნიკეში ნათქვამია, რომ ინგლისის მთავარი ძალები განაგრძობენ შეტევას დასავლეთისა და ჩრდილოეთ-დასავლეთის მიმართულებით ელ-გაზალის სამხრეთით მდებარე რაიონში. ელ-გაზალის ახალი ზელანდიის ჯარებმა ალყა შემოარტყეს მტერს, რომელსაც სამხრეთ-დასავლეთიდან უტევენ.

ინგლისის მობილურ რაზმებს სრული უწესრიგობა და არევდარევა შეაქვთ გერმანია-იტალიის ქვეითი ჯარისა და ავტოტრანსპორტის კოლონებში, რომლებიც ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ იხევენ. 12 დეკემბერს, ნაშუადღევს, ამ რაიონში ინგლისის ტანკებმა იერიში მიიტანეს მტრის ტანკებზე.

ლიბია-ეგვიპტის საზღვრის რაიონში სამხრეთ აფრიკის ჯარებმა გასწმინდეს მტრის სამი გამაგრებული პუნქტი სოლუმის სამხრეთ-დასავლეთით და ხელთ იგდეს დიდძალი საჭურველი. ამ რაიონში ოპერაციები გრძელდება. ინგლისის ავიაციამ ენერგიული იერიში მიიტანა მტრის ავტოტრანსპორტსა და ქვეითს ჯარზე, რომლებიც ელ-გაზალისა და ბირ-ჰაკეიმის დასავლეთით მდებარე გზებით, აგრეთვე ტმიმიდან ჩრდილოეთ დასავლეთისაკენ მიმავალი გზით უკან იხევენ. საჰაერო იერიშებმა დიდი ზარალი მიაყენეს მტრის მატერიალურ ნაწილსა და ცოცხალ ძალას.

შეტევა ლიბიაში სწრაფად ვითარდება

ლონდონი. როგორც რეიტერის სააგენტოს კაიროელი კორესპონდენტი იუწყება, ინგლისის სამხედრო წრეებში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ შეტევა ლიბიაში ენერგიულად და სწრაფად ვითარდება. ელ-გაზალა მთლიანად გარშემორტყმულია, თუ უკვე ინგლისელთა ხელში არ არის. ამ სწრაფი შეტევის ერთერთი შედეგი იყო ის, რომ მნიშვნელოვანი ნაწილი იტალიელთა ორი ქვეითი დივიზიისა, რომლებიც მანამდე ტობრუკის ჩრდილო-დასავლეთით იმყოფებოდნენ, პოლონელთა ნაწილების შეტევისა და ელ-გაზალასკენ ინგლისელთა წინსვლის შიშით, შედეგად იძულებული იყო უკან დაეხია. როგორც ცნობილია, ელ-გაზალა გერმანელთა მომარაგების დიდმნიშვნელოვანი ცენტრი იყო. ამრიგად, შეტევის მეორე შედეგია ის, რომ გერმანელთა მარაგები, რაც აქ არის, აღმოჩნდა საფრთხის წინაშე, თუ უკვე ხელში არ ჩაუვარდათ ინგლისელებს.

(მიღებულია რადიოთი საჭრადიოკომიტეტის მიერ).

იტალიის კრეისერის ჩაძირვა

ლონდონი, 13 დეკემბერი (საკდესი). ინგლისის საზღვაო სამინისტროს კომუნიკეში, რომელიც დღეს გამოქვეყნდა, ნათქვამია: მიღებულია ცნობები ინგლისის იმ საესკადრო ნაღმოსანთა ბრწყინვალე მოქმედების შესახებ, რომელნიც 12 დეკემბერს ღამით ხმელთაშუა ზღვის ცენტრალურ ნაწილში პატრულობდნენ. ჩაძირულია იტალიის კრეისერი, ხოლო მეორე კრეისერი სერიოზულად არის დაზიანებული. გარდა ამისა, ძლიერ დაზიანდა აგრეთვე იტალიის ნაღმოსანი და ჩაძირულია სატორპედო კატერი. ჩვენს ძალებს არავითარი ზარალი არ მოსვლიათ.

საზღვაო სამინისტრო იუწყება ამ ოპერაციების შემდეგს დაწვრილებითს ცნობებს: ღამის 3 საათზე ინგლისის საესკადრო ნაღმოსნები „სიქხი", „ლიჯი" და „მაორი" და ჰოლანდიის საესკადრო ნაღმოსანი „ისააკ სვეერსი" ეკვეთნენ იტალიის ორ კრეისერს, ნაღმოსანსა და სატორპედო კატერს. მოკავშირეთა გემებმა დაუყოვნებლივ გაახსნეს სროლა და სატორპედო იერიში მიიტანეს. მოწინააღმდეგის ორივე კრეისერი დაზიანებულ იქნა. ერთ-ერთ კრეისერზე ძლიერი ხანძარი გაჩნდა, და იგი აფეთქდა. მეორე კრეისერზეც დიდი ხანძარი გაჩნდა. ნაღმოსანი სერიოზულად დაზიანდა, ხოლო სატორპედო კატერი ჩაიძირა.

* * *

ჰოლანდიის საესკადრო ნაღმოსანი „ვან სვეერსი", რომლის წყალწყვა 1.800 ტონას უდრის და რომელსაც ამჟამად „ისააკ სვეერსი" ჰქვია, ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო, როდესაც გერმანელები ჰოლანდიაში შეიჭრნენ. იგი ბუქსირით მიიტანეს ინგლისში და მისი აგება ინგლისის გემსაშენებში დაამთავრეს.

კუბამ ომი გამოუცხადა გერმანიასა და იტალიას

ლონდონი, 13 დეკემბერი (საკდესი). კუბის კონგრესმა გადაწყვეტილება მიიღო გერმანიისა და იტალიისათვის ომის გამოცხადების შესახებ.

გერმანია საფრანგეთის ბაზებსა და ფლოტს იყენებს

ლონდონი, 12 დეკემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ საფრანგეთის ფლოტი და საფრანგეთის ზოგიერთი საზღვაო ბაზა, მაგალითად, ტულონი და ჩრდილო აფრიკის ნავსადგურები, თუ სავსებით გერმანელების ხელში არ არის, უკვე მათს განკარგულებაშია. შეიძლება ითქვას, რომ გერმანიის წყალქვეშა ნავები უკვე ბაზად იყენებენ დაკარს. ფიქრობენ, რომ საფრანგეთის სამხედრო გემებს მალე დაიხმარებენ გერმანიის ფლოტს ჩრდილო აფრიკაში ჯარების გადასაყვანად.

ომი წყნარ ოკეანეში

ამერიკის ცნობები

ვაშინგტონი, 13 დეკემბერი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მინისტრმა სტიმსონმა განაცხადა, რომ 10 დეკემბრის განმავლობაში იაპონიის ავიაციამ მთელი რიგი პუნქტები დაბომბა ფილიპინებზე, კერძოდ ქალაქი მანილა, სამხედრო-საზღვაო ბაზა კავიტე და აეროდრომი ნიკოლსი. 7 დეკემბერს ჰავაის კუნძულებზე წარმოებულ ოპერაციებში ამერიკის ავიაციამ დიდი ზარალი ნახა, მაგრამ ახლა უკვე ვანაზღაურებთ ამ ზარალს.

10 დეკემბერს მანილაზე იაპონიის ავიაციის თავდასხმის დროს ჩამოგდებულია იაპონელთა 15 თვითმფრინავი. სამოქალაქო მოსახლეობაში მოკლულია 30 და დაჭრილია 250 კაცი. ადგილობრივმა ხელისუფლებამ გააფრთხილა მოსახლეობა, რომ საჭიროა მიღებულ იქნას სიფრთხილის ყოველივე ღონისძიება, ვინაიდან შესაძლებელია მოწინააღმდეგემ გაზები გამოიყენოსო.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს მანილელი კორესპონდენტი, რომელიც ფილიპინებზე შექმნილ ვითარებას ახასიათებს, აღნიშნავს, რომ იაპონიის ჯარებმა მოახერხეს დამკვიდრებულიყვნენ ლუსონის კუნძულის ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის ბომბდამშენებმა დესანტების გადასხმის დროს იაპონელთა 6 ტრანსპორტი დაბომბეს. იაპონელებმა ჯარი გადასხეს აგრეთვე აპარში და კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილის რამდენიმე სხვა პუნქტში. კერძოდ, ფილიპინების პოლიციის ცნობებით, იაპონელები გადასხდნენ ვიგანში, სადაც ტყვედ იქნენ შეპყრობილნი იაპონელი პარაშუტისტები.

მანილის რაიონის სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ობიექტებს ინტენსიურად ჰბომბავენ ჰაერიდან. ნიკოლსის აეროდრომის რაიონში, აგრეთვე კავიტის სამხედრო-საზღვაო ბაზაში დიდი ხანძარი გაჩნდა.

10 დეკემბერს დილით ამერიკის თვითმფრინავებმა ვიგანის რაიონში იერიში მიიტანეს იაპონელთა 6 ტრანსპორტზე, რომელთაგან ერთი ჩაძირულია და რამდენიმე დაზიანდა.

ამერიკელთა და ფილიპინელთა ჯარები ბრძოლას იწევიან იაპონელთა დესანტებთან აპარის რაიონში.

უკანასკნელი ცნობებით, ამერიკელთა და ფილიპინელთა ჯარებმა კვლავ აიღეს აპარის რაიონი ლუსონის კუნძულის ჩრდილოეთ სანაპიროზე. ფილიპინებზე იაპონელთა წინააღმდეგ ბრძოლის მონაწილეთა ნაამბობის თანახმად, იაპონელთა ჯარები ზოგიერთი სახის გერმანულ იარაღს ხმარობენ. კერძოდ, გამოირკვა, რომ ისინი ხმარობენ გერმანიის 20-მილიმეტრიან ყუმბარებს.

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 14 დეკემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო სამინისტრომ გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია: „საზღვაო სამინისტრო იუწყება, რომ მას არ შეუძლია კავშირი დაამყაროს გუამის კუნძულთან არც რადიოთი და არც კაბელით. როგორც სჩანს, ეს კუნძული დაკავებულია იაპონელთა მიერ; კუნძულის სხვადასხვა პუნქტებში იაპონიის ჯარები გადასხდნენ. უეიკისა და მიდუეის კუნძულები განაგრძობენ წინააღმდეგობას".

როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ის გარემოება, რომ იაპონელებმა დროებით შეანელეს იერიშები მალაიის სანაპიროზე, ალბათ, იმით აიხსნება, რომ იაპონელები მაშველ ძალებს მოელიან. მიუხედავად ამისა, მათი ბომბდამშენები თავს ესხმიან მალაიის აეროდრომებს.

პირველ წყაროდან მიღებული ცნობები კოტა-ბარუში გამართული ბრძოლის შესახებ მოწმობენ, რომ იაპონელთა პირველი იერიში მოგერიებულ იქნა და 2.000 იაპონელიდან, რომლებიც იქ გადმოსხდნენ, ძლივს 200 კაცი გადარჩა. შემდეგ სინგორიდან ტაის საზღვრით შეტევაზე გადმოვიდნენ იაპონიის ჯარები, რომლებსაც დიდი რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდათ, და ინგლისელებს უკან დახევა მოუხდათ. სინგაპურში ჰოლანდიელთა მაშველი ძალები მოდიან.

არსებული სტატისტიკის გულმოდგინე შესწავლის შედეგად სპეციალისტები ჰფიქრობენ, რომ ნავთის მარაგი იაპონიაში საკმარისია 12-14 თვის ომისათვის.

მანილიდან იუწყებიან, რომ ლუსონის კუნძულის ჩრდილოეთ და ცენტრალურ ნაწილის მთაგორიან რაიონებში 12 დეკემბერს ფილიპინის ჯარებმა ხელჩართული ბრძოლის დროს, რაც რამდენიმე საათს გრძელდებოდა, რამდენიმე ასეული იაპონელი პარაშუტისტი მოსპეს.

რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ როგორც ლონდონის ავტორიტეტულ წრეებში აცხადებენ, ინგლისის ავიაცია მალაიასა და ახლო აღმოსავლეთში მაშველ ძალებს მიიღებს.

ამავე დროს ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მთავარი მტერია გერმანია და, თუ იგი დამარცხდა, „ღერძი" დაიმსხვრევა, ვინაიდან მარტო იაპონია ომის განგრძობას ვერ შესძლებს.

ლონდონი, 13 დეკემბერი (საკდესი). ინგლისის სარდლობის გუშინდელი საღამოს კომუნიკეში აღნიშნულია, რომ 12 დეკემბერს, დილით ინგლისის ავიაცია თავს დაესხა ქალაქ სინგორას (ტაის სამხრეთი ნაწილი). ცუდი ხილვადობის გამო, ძნელია იმის თქმა, თუ რა შედეგი მოჰყვა დაბომბვას. ინგლისის ყველა თვითმფრინავი თავის ბაზაში დაბრუნდა. 12 დეკემბრის მთელი დღის განმავლობაში ინგლისელთა თვითმფრინავები ზვერვას ეწეოდნენ მალაიის მთელს ტერიტორიაზე.

კედახის (მალაია) რაიონში მთელი დღის განმავლობაში შეუპოვარი ბრძოლა იყო. ფრონტზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

12 დეკემბერს იაპონიის ავიაციამ კვლავ დაბომბა ქალაქი პენანგი. სამხედრო ობიექტები არ დაზარალებულა. ინგლისელთა სარდლობის კომუნიკეში, რომელიც დღეს დილით გამოქვეყნდა, აღნიშნულია, რომ წუხელ პატანის (ტაის სამხრეთი ნაწილი) მახლობლად ჰოლანდიის ინდოეთის წყალქვეშა ნავებმა ჩაძირეს მტრის 4 ტრანსპორტი ჯარითურთ.

მალაიის ჩრდილოეთ ნაწილის ფრონტზე უკანასკნელი 12 საათის განმავლობაში არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

იაპონიის ცნობები

ტოკიო, 13 დეკემბერი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ ჰავაის კუნძულების რაიონში ომის დროს ჩაძირულია ამერიკის ხაზაზო გემი „არიზონა", რომლის წყალწყვა 32 ათას ტონას უდრიდა.

12 დეკემბერს იაპონიის საზღვაო ავიაცია თავს დაესხა ფილიპინებს. დაბომბილ იქნა ბატანგასი, იბა, აეროდრომი კლარკფილდი და მანილის რაიონის სხვა პუნქტები. ჩამოგდებულია ამერიკის 8 თვითმფრინავი და ხმელეთზე მოსპობილია 14 თვითმფრინავი.

11 დეკემბერს იაპონიის საზღვაო ავიაცია თავს დაესხა ჰონკონგს. თავდასხმის დროს ჩაძირულია ინგლისის ნაღმოსანი და სატანკერო გემი. გუშინ იაპონიის ჯარებმა ქალაქი კოულუნი დაიკავეს, რომელიც კოულუნის ნახევარკუნძულზე მდებარეობს, ჰონკონგის პირდაპირ. იაპონიის ჯარებმა გადამწყვეტი იერიში დაიწყეს ჰონკონგის წინააღმდეგ.

მიდუეისა და უეიკის კუნძულები ამერიკის შეერთებული შტატების ხელშია

ლონდონი, 13 დეკემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო სამინისტრო აცხადებს, რომ მიდუეისა და უეიკის კუნძულები ამერიკელების ხელშია.

იაპონელებმა წყნარი ოკეანის კაბელი გადასჭრეს

ნიუ-იორკი, 13 დეკემბერი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო ვაშინგტონიდან გადმოგვცემს, რომ გუამსა, მანილასა და ჰონკონგს შორის გაწყვეტილია ტელეგრაფის კავშირი. ფიქრობენ, რომ იაპონელებმა კაბელი გადასჭრეს მიდუეის კუნძულზე.

ბრძოლა კუნძულ ლუსონზე

ლონდონი. მანილიდან იტყობინებიან, რომ კუნძულ ლუსონის ჩრდილოეთ და ცენტრალური ნაწილის მთიან რაიონებში 12 დეკემბერს ფილიპინელთა ჯარებმა ხელჩართულ ბრძოლაში, რომელიც რამდენიმე საათს გრძელდებოდა, მოსპეს რამდენიმე ასეული იაპონელი პარაშუტისტი და სადესანტო ჯარები.

(მიღებულია რადიოთი საჭრადიოკომიტეტის მიერ).

პირლ ჰარბორში დაიღუპა ამერიკელი კონტრ-ადმირალი კიდი

ნიუ-იორკი, 13 დეკემბერი (საკდესი). საზღვაო სამინისტრომ გამოაცხადა, რომ 7 დეკემბერს პირლ ჰარბორზე თავდასხმის დროს დაიღუპა კონტრ-ადმირალი კიდი. კიდი სახაზო გემთა დივიზიონს მეთაურობდა წყნარ ოკეანეში.

დაწვრილებითი ცნობები კურუსუსა და ნომურასთან ჰელის უკანასკნელი შეხვედრის შესახებ

ვაშინგტონი, 7 დეკემბერი (საკდესი). (მიღებულია დაგვიანებით). სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა განცხადება, სადაც დაწვრილებით არის აწერილი კურუსუსა და ნომურასთან ჰელის შეხვედრა; როგორც ცნობილია, ეს შეხვედრა მოხდა ერთი საათის მერმე მას შემდეგ, რაც იაპონიამ უკვე დაიწყო საომარი მოქმედება ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ. განცხადებაში ნათქვამია:

„26 ნოემბერს სახელმწიფო მდივანმა იაპონიის წარმომადგენლებს გადასცა დოკუმენტი, სადაც ჩამოყალიბებული იყო პრინციპები, რომლებითაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ხელმძღვანელობს შორეულ აღმოსავლეთის მდგომარეობის საკითხში; ეს დოკუმენტი შეიცავდა წინადადებას, რომელიც მიზნად ისახავდა წყნარი ოკეანის მთელს რაიონში მდგომარეობის მშვიდობიანად მოგვარებას საერთო ძალებით.

დღეს, 13 საათზე, იაპონიის ელჩმა ითხოვა—იაპონიის წარმომადგენლები შეხვედროდნენ სახელმწიფო მდივანს. შეხვედრა დაინიშნა 13 საათისა და 45 წუთისათვის. იაპონიის წარმომადგენლები 14 საათსა და 05 წუთზე მოვიდნენ. ისინი სახელმწიფო მდივანმა 14 საათსა და 20 წუთზე მიიღო. იაპონიის ელჩმა სახელმწიფო მდივანს გადასცა ის, რაც, როგორც გვეგონა, წარმოადგენდა იმ დოკუმენტის პასუხს, რომელიც მან 26 ნოემბერს გადასცა სახელმწიფო მდივანმა.

სახელმწიფო მდივანმა ჰელმა ყურადღებით წაიკითხა იაპონიის წარმომადგენლების მიერ გადმოცემული განცხადება და, დაუყოვნებლივ მიმართა იაპონიის ელჩს უდიდესი აღშფოთებით: „მე უნდა განვაცხადო, რომ უკანასკნელი 9 თვის განმავლობაში თქვენთან წარმოებულ ყველა ჩემს საუბარში არც ერთი ტყუილი არ მითქვამს. ეს მთლიანად დასტურდება საოქმო ჩანაწერებით. მთელი ჩემი 50 წლის საზოგადოებრივი სამსახურის განმავლობაში არასოდეს არ მინახავს ამგვარი დოკუმენტი, რომელშიც თავმოყრილია ისეთი მასშტაბის და რიგის საზიზღარი და ყალთაბანდური სიცრუე, რომ მე დღევანდლამდე ვერ წარმოვიდგენდი, თუ ჩვენს პლანეტაზე რომელიმე მთავრობა შესძლებდა ეთქვა იგი".

ინგლის-გერმანიის ომი

ლონდონი, 14 დეკემბერი (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტროს კომუნიკეში ნათქვამია, რომ 12 დეკემბერს, ღამით, ინგლისის ბომბდამშენთა რაზმები თავს დაესხნენ ბრესტისა და დიუნკერკის დოკებს. სანაპირო ავიაციის თვითმფრინავებმა დაბომბეს ნავთსაწყობი ქარხნები დონჟში, სენ-ნაზერის მახლობლად, სადაც ბევრ ადგილას დიდი ხანძარი გაჩნდა ნავთის რეზერვუარებში. ინგლისის აეროგამანადგურებლები თავს დაესხნენ მტრის აეროდრომებს საფრანგეთსა და ჰოლანდიაში.

ინგლისის თვითმფრინავები, რომლებიც 13 დეკემბერს, დილით, ჩრდილოეთ საფრანგეთში პატრულობდნენ, თავს დაესხნენ ერთ ქარხანას, სასაქონლო მატარებელსა და საარტილერიო ბატარეას.

ინგლის-გერმანიის ომი ჰაერში

ლონდონი, 13 დეკემბერი (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტროს კომუნიკეში ნათქვამია, რომ 12 დეკემბერს დილით „ჰემპდენის" ბომბდამშენები თავს დაესხნენ ჩრდილო-დასავლეთ გერმანიას. დაბომბვის ობიექტები იყო ემდენის ნავთსაწმენდი ქარხანა და სამრეწველო საწარმო ბრემენის მახლობლად. დიდ ქარხანა სენ-ნაზერის ახლოს და ბევრგან დიდი ხანძარი გამოიწვიეს. სანაპირო ავიაციის სხვა თვითმფრინავებმა დიდი სატვირთო გემი დაბომბეს ტექსელის კუნძულის ახლოს. გემს ცეცხლი გაუჩნდა.

ავიაგამანადგურებლებმა იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგის აეროდრომებზე საფრანგეთსა და ჰოლანდიაში.

სანაპირო ავიაციის ერთი თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა.

ინგლისის ავიაგამანადგურებლებმა იერიში მიიტანეს კალეს და ნიუპორტის ობიექტებზე. ერთი ბომბდამშენი და ერთი ავიაგამანადგურებელი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა.

12 დეკემბერს ღამით ინგლისის ბომბდამშენები თავს დაესხნენ ბრესტისა და დიუნკერკის დოკებს. სანაპირო ავიაციის თვითმფრინავებმა დაბომბეს დონჟის ნავთსაწმენდი ... ავიაციის სამინისტროს კომუნიკეში ნათქვამია აგრეთვე, რომ 12 დეკემბერს ღამით მოწინააღმდეგის ავიაციამ ინგლისის ტერიტორიაზე მცირე აქტივობა გამოიჩინა, და ისიც მარტო სანაპირო რაიონებში. ერთ ადგილას ბომბები ჩამოჰყარეს, რომლებსაც ზარალი და მსხვერპლი არ გამოუწვევიათ.

რუზველტის მიმართვა კონგრესისადმი

ვაშინგტონი, 11 დეკემბერი (საკდესი). (მიღებულია დაგვიანებით). გერმანიისა და იტალიისათვის ომის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილება ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა მიიღო იმის შემდეგ, რაც წაკითხულ იქნა რუზველტის შემდეგი მიმართვა: „11 დეკემბერს დილით გერმანიის მთავრობამ, მსოფლიოს დაპყრობის თავის პოლიტიკის თანახმად, ომი გამოუცხადა შეერთებულ შტატებს. მოხდა ის, რაც დიდი ხანია ცნობილია და რასაც დიდი ხანია უკვე მოველოდით. ის ძალები, რომლებიც მთელი მსოფლიოს დამონებას ცდილობენ, ახლა ჩვენი ნახევარსფეროსაკენ მოეშურებიან სიცოცხლეს, თავისუფლებასა და ცივილიზაციას ასე არავინ არასოდეს არ დამუქრებია. დაყოვნებას უდიდესი საფრთხე მოჰყვება მსოფლიოს ყველა იმ ხალხთა სწრაფი და ერთობლივი ღონისძიებანი, რომლებმაც გადასწყვიტეს შეინარჩუნონ თავისუფლება, უზრუნველჰყოფენ სამართლიანობის ძალთა და სამართლის მსოფლიო გამარჯვებას ველურობისა და ბარბაროსობის ძალებზე.

იტალიამაც ომი გამოუცხადა შეერთებულ შტატებს.

ამის გამო მე ვთხოვ კონგრესს სცნოს, რომ შეერთებულ შტატებსა და გერმანიას შორის და შეერთებულ შტატებსა და იტალიას შორის ომის მდგომარეობა არსებობს".

ჰელის განცხადება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირს შორის არსებული ურთიერთობის შესახებ

ვაშინგტონი, 11 დეკემბერი (საკდესი). სახელმწიფო მდივანმა ჰელმა პასუხი გასცა პრესის წარმომადგენლების შეკითხვებზე ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის არსებული ურთიერთობის შესახებ. ჰელმა შემდეგი განაცხადა:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი გმირულ ბრძოლას ეწევა მტრის მძლავრი თავდასხმის წინააღმდეგ, რასაც ესწრაფოდნენ ვერაგულად მიმართა მსოფლიოს ყველა თავისუფლებისმოყვარული ხალხის საერთო მტერმა მის წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით მე მინდოდა ყველასათვის გამეხსენებინა ის განცხადებანი, რომლებითაც შეერთებული შტატების პრეზიდენტი გამოვიდა ახალი საბჭოთა ელჩის მიღების დროს 1941 წლის 8 დეკემბერს,—იმ დღეს, როდესაც ჩვენ ომი გამოვუცხადეთ იაპონიას. ამასთან პრეზიდენტმა დაარწმუნა იგი, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი განაგრძოს საბჭოთა კავშირისათვის დახმარების გაწევის პროგრამის განხორციელება იმ ბრძოლაში, რომელსაც იგი ეწევა. უკანასკნელი რამდენიმე საათის განმავლობაში მომხდარმა ამბებმა კიდევ უფრო განამტკიცეს ეს გადაწყვეტილება და ჩვენ, ჩვენი მხრივ, ეჭვი არ გვეპარება იმაში, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მთავრობა და ხალხი სავსებით შეასრულებენ თავიანთ როლს ყველა მშვიდობისმოყვარულ ხალხებთან მხარდამხარ საერთო საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში".

ამერიკის კონგრესის გადაწყვეტილება

ნიუ-იორკი, 13 დეკემბერი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტის გადმოცემით, წარმომადგენელთა პალატამ მოიწონა კანონპროექტი, რომლითაც ნებადართულია ამერიკის საექსპედიციო ჯარების გაგზავნა მსოფლიოს ყოველ ნაწილში. როგორც იუწყებიან ეს კანონპროექტი სენატმაც მიიღო.

კონგრესმა აგრეთვე მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ სამხედრო სამსახურის ვადა გაგრძელდეს ომის მთელი დროისათვის.

გერმანია მოითხოვს რუმინეთის ჯარის გაგზავნას ფრონტზე

ნიუ-იორკი, 14 დეკემბერი (საკდესი). როგორც ოვერსის ნიუსის სააგენტოს კორესპონდენტი ანკარიდან იუწყება, იქ მიღებულია ცნობები, რომ ბრაუხიჩი გაემგზავრა ბუქარესტს, რათა ანტონესკუს გადასცეს ჰიტლერის ულტიმატუმი აღმოსავლეთის ფრონტზე რუმინელთა 5 დივიზიის დამატებით გაგზავნის შესახებ. როგორც იუწყებიან, წინანდელი მოთხოვნები ანტონესკუმ უარჰყო, ჯარების შემდგომი დაკარგვა აღმოსავლეთის ფრონტზე საფრთხეს უქმნის რუმინეთში არსებულ რეჟიმსო.

თავდასხმა კელნზე

ლონდონი, 12 დეკემბერი (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტროს კომუნიკეში ნათქვამია, რომ 11 დეკემბერს ღამით ინგლისის ბომბდამშენები თავს დაესხნენ კელნის რაიონს და დასავლეთ გერმანიის სხვა ობიექტებს.

დაბომბილია აგრეთვე ჰავრისა და ბრესტის დოკები.

ინგლისის კრეისერის გაბედული რეისი

ლონდონი. რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი, რომელიც ინგლისის ხმელთაშუა ზღვის ფლოტთან იმყოფება, იუწყება, რომ 10 დეკემბერს დილით ინგლისის კრეისერმა მოახდინა გაბედული რეისი ლიბიის ნავსადგურ დერნას წინააღმდეგ, რომელიც ინგლისელთა სახმელეთო მოწინავე პოზიციებს დასავლეთით 80 კილომეტრით არის დაშორებული. კრეისერმა სროლა აუტეხა ნავსადგურში მდგომ გემებს, სახელოსნოებსა და სხვადასხვა საწარმოებს. აღნიშნულია მრავალი პირდაპირი მოხვედრა. კრეისერმა გერმანია-იტალიის მომარაგების ამ ბაზას 200-ზე მეტი ყუმბარა ესროლა. ყუმბარების მოხვედრით ცეცხლი გაუჩნდა 3000 ტონა წყალწყვის საჰაერო გემს. სახელოსნოები დიდი ხნით გამოყვანილია მწყობრიდან. სანაპირო არტილერიამ სროლა აუტეხა კრეისერს, მაგრამ უშედეგოდ. 40 წუთის შემდეგ ინგლისის გემის თავზე გამოჩნდნენ მოპიკირე ბომბდამშენები და ტორპედოსანი თვითმფრინავები. მტრის თვითმფრინავებმა ჩამოჰყარეს 30-40 ბომბი, მაგრამ ინგლისის კრეისერი ვერ დააზიანეს. საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულ იქნა ერთი „იუნკერს-87" და დაზიანდა რამდენიმე თვითმფრინავი.

(მიღებულია რადიოთი საჭრადიოკომიტეტის მიერ).

ამერიკის შეერთებულ შტატებში ბოიკოტი გამოეცხადა იმ ფირმებს, რომლებიც ვაჭრობას ეწევიან იაპონიასთან

ნიუ-იორკი, 13 დეკემბერი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ამერიკის მთავრობამ გამოაქვეყნა 470 ფირმისა და იმ პირთა შავი სია, რომლებიც ვაჭრობას ეწევიან იაპონიასთან.

სიკვდილით დასჯა საფრანგეთში

ჟენევა, 12 დეკემბერი (საკდესი). პარიზიდან იუწყებიან, რომ გერმანელთა ხელისუფლებამ გამოაცხადა ქალაქ ბრესტის 11 მცხოვრების სიკვდილით დასჯა „იარაღის უკანონოდ ქონებისათვის, პარტიზანული მოქმედებისა და მტრის სასარგებლოდ პოლიტიკური პროპაგანდის გაწევისათვის".

ჩინეთის ჯარის მოქმედება კანტონის რაიონში

ნიუ-იორკი, 14 დეკემბერი (საკდესი). ჰონკონგიდან მიღებული ცნობების თანახმად, ჩინეთის ჯარს იერიში მიაქვს კანტონზე აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან და ცდილობს გააადვილოს ჰონკონგის მდგომარეობა.

ფაშისტი ოკუპანტების თარეში ნორვეგიაში

სტოკჰოლმი, 13 დეკემბერი (საკდესი). როგორც გაზეთ „დაგენს ნიუხეტერი" იუწყება, ნორვეგიის პროფკავშირთა კვისლინგურმა ხელმძღვანელობამ გერმანიის ხელისუფლებთან შეთანხმებით შეიმუშავა ნორვეგიელ მუშათა ხელფასის შემცირების პროექტი.

იგივე გაზეთი იუწყება, რომ ჰიტლერელებმა ყადაღა დაადეს იმ ანგარიშებს, რომლებითაც ფული ეძლეოდათ ინგლისის სამსახურში მყოფი ნორვეგიელი მეზღვაურების ოჯახებს. ამ მეზღვაურების ოჯახების წევრთა საერთო რიცხვი 100.000 კაცს აღწევს.

შვედური გაზეთები იუწყებიან, რომ გერმანელმა ოკუპანტებმა და მათმა დამქაშებმა— კვისლინგელებმა ომი გამოუცხადეს... ნორვეგიელ ბავშვებს. ტრონჰაიმის და სხვა ქალაქების ქუჩებში მრავალრიცხოვანი პატრულები დადიან, რომლებიც ნადირობენ... წითელ ქუდებზე, ტრადიციულ ქუდებზე, რასაც ძველთაგანვე იხურავენ ნორვეგიელი ბავშვები. მთლად გამხეცებულმა ჰიტლერელებმა ბრძანება გასცეს, რომლის მიხედვითაც წითელი ქუდის დახურვა „ნაცისტური რეჟიმის საწინააღმდეგო დემონსტრაციაა". თავით ფეხამდე შეიარაღებული მოიერიშენი ქუჩებში იჭერენ ბავშვებს და „მეამბოხეთა" ქუდებს ხდიან მათ.

ამის საპასუხოდ ნორვეგიელმა ნორჩმა პატრიოტებმა დემონსტრაციები გაახშირეს. მრავალ სკოლაში კედლებსა და მერხებზე ანტიფაშისტური ლოზუნგები და ნახატები გაჩნდა. ამის გამო კვისლინგურმა „განათლების ორგანოებმა" ცირკულარი გამოსცეს, რომლითაც დაპატიმრებით ემუქრებიან მოწაფეებს „ანტისახელმწიფოებრივი დემონსტრაციებისათვის".

სატრანსპორტო სიძნელეები გერმანიაში

სტოკჰოლმი, 12 დეკემბერი (საკდესი). გერმანიის გაზეთებში გამოქვეყნდა სტატიები, რომელთა ავტორები აღიარებენ გერმანიის ტრანსპორტის განსაკუთრებულ მდგომარეობას. გერმანიის ტრანსპორტი დიდ სიძნელეებს განიცდის. „ბერლინერ ბერზენ-ცაიტუნგმა" მოათავსა ეკონომიური საკითხების ბერლინელი კონსულტანტის გუნცკეს მოხსენების შინაარსი; გუნცკე აღნიშნავს, რომ სატრანსპორტო სიძნელეები ბერლინში განუწყვეტლივ მწვავდება. განსაკუთრებით ცუდად მუშაობს ტრამვაი, რომელსაც მგზავრთა უმნიშვნელო რაოდენობა გადაჰყავს.

კოლუმბიამ იტალიის ტანკერების კონფისკაცია მოახდინა

ნიუ-იორკი, 13 დეკემბერი (საკდესი). კოლუმბიის მთავრობამ კოლუმბიის ნავსადგურებში მყოფი იტალიელთა 2 ტანკერის კონფისკაცია მოახდინა.

ქართული ესტრადისა და ჯაზ-ორკესტრის კონცერტი

საქფილარმონია დეკემბერში მოაწყობს ქართული ესტრადისა და ჯაზ-ორკესტრის რამდენიმე საღამოს. პირველი საღამო შესდგება 16 დეკემბერს რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში. ერთი განყოფილება დაეთმობა პირველ ქართულ ჯაზ-ორკესტრს რ. გაბიჩვაძის ხელმძღვანელობით. ჯაზ-ორკესტრის გამოსვლაში მონაწილეობენ სოლისტები: ნ. ხარაძე, დ. გამრეკელი, კ. კვანტალიანი და ა. გომელაური. ცეკვები დადგმულია ჯ. ბაგრატიონის მიერ. საცეკვაო ნომრებს შეასრულებენ: ნ. გუნია, ჯ. ბაგრატიონი, ი. ოქრომჭედლიშვილი, ა. აბულაძე, ა. ხერხეულიძე, მ. შუბაშურელი.

საღამოში მონაწილეობას მიიღებენ: თ. ჭავჭავაძე, ესტრადის მსახიობთა საკავშირო კონკურსის ლაურეატი ო. დოლიძე, გ. სადარაძე, ს. ჯაფარიძე და ა. ვარდიაშვილი. პროგრამის წამყვანნი—კ. კვანტალიანი და ა. გომელაური.

პროგრამაშია რ. გაბიჩვაძის, ა. ბალანჩივაძის, ვ. გოკიელის, მ. ჯაფარიძის, ვ. პატარაიას და მ. ხერხეულიძის ნაწარმოებები.

მოხსენება

17 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის დიდ დარბაზში (კეცხოველის ქ. № 5) შესდგება ამხ. სულეიმანის მოხსენება. თემა: „საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი".

შესვლა თავისუფალია.

„ტრავიატა" ახალი შემადგენლობით

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი 16 დეკემბერს მაყურებელს უჩვენებს ოპერა „ტრავიატას" ახალი შემადგენლობით. ვიოლეტას როლს შეასრულებს ი. ლოზინსკაია, ალფრედის როლს — ი. კურენკო, ჟერმონისას — მ. პაპოვი. იდირიჟორებს შ. აზმაიფარაშვილი.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. — „ჯარისკაცი ფრონტიდან ბრუნდება", ოქტომბერი — „ახალი ცხოვრებისაკენ", დამკვრელი — „დაკარგული სამოთხე", სპარტაკი — „გამანადგურებლები", ლუქსემბურგის სახ. — „მუსიკალური ისტორია", 26 კომ. სახ. — „საბრძოლო კინოკრებული № 5", კომინტერნი — „მეოთხე პერისკოპი", მეცნიერება და ცოდნა — „ბრძოლა გრძელდება".

თბილისის სახცირკი

განახლებული მრავალფეროვანი მხატვრული პროგრამა. ფრანგული ჭიდაობის მატჩები.

17 დეკემბერს ჭიდაობენ: პავლე ზაგორუიკო—ალი რუსტამოვი, მაჩკალიანი—იარკოვი, პლიასულია—გურსკი.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

საქართველოს სსრ მიწსახკომის კადრების სამმართველო იუწყება
ლიზა ლევანის-ასულ აბესაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 16/XII
6 ს. პეტრიაშვილის, 22. 12600

დაკარგულია
გურჯაანის რაიონის სოფ. არაშენდის 3 სტურუას სახელობის კოლმეურნეობის მრგვალი ბეჭედი. ჩაითვალოს გაუქმებულად. 406

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა, № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის—3-62-26; პ/მგ რედაქტორის მოადგილისა—3-63-03; ...

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 28.
უე 41464